

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგივეის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგივეის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ხელის-მომწერა მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типограф. ВЪ редакцію газ. „Дროება“.

გაზეთის უასი: მთელის წლია—8 მან., ნახევარ წლია—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს რაშრატი

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე. უასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციკროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

## ყოველ-ღიუხრი გაზეთი

### „დროება“

ხელის-მომწერა: თბილისში, რედაქციის კანტორაში (სერგივეის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8).

შალაქს გარეშე მცხოვრებთათვის აღრესი: ВЪ Типограф. ВЪ редакцію газети „Дროება“.

გაზეთის უასი: მთელის წლია—8 მან., ნახევარის წლია—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

პირველი აპრილიდან პირველ ივლი-სამდინ გაზეთი ღირს—2 მან. და 50 კაპ. წლის დამლევაში—6 მანეთი.

ხვედრი ფული გაზეთის დაბარებისათვის უნდა იქმნეს რედაქციაში გამოგზავნილი.

## ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ნიუ-იორკი, 21 აპრილს. ამბობენ, რომ „სიმბრისა“ ხომალდზე მსხლოში რუსის სალდათები და მატროსები პორტლენდში გამოვლენ და აქედამ სან-შრანჩესკოს წაეღენ ხმელეთითაო.

მენა, 21 აპრილს. ოსმალეთის მთავრობა თითქოს თანახმაა, რომ მარნიდამ, შემლიდამა და ბათუმიდამა გაიყვანოს

თავისი ჯარები და რუსებს დათუმოს ეს ქალაქები.

პეტერბურლი, 22 აპრილს. მარის პეტერბურლი მარშალის რკინის გზით მოვიდა დ. მ. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე. რკინის გზის სტანციაზე იმას შეეგებნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფის სახლობა, დენერლობა და დიდ-ძალი ხალხი, რომელიც „ურას“ ყვირილით მიესალმა.

სტამბოლი, 21 აპრილს. ბათუმიდამ მოვიდა აქ შემდეგი დეპეშა: ოსმალეთის ჯარის—15 ბატალიონის სტამბოლში გადაყვანას ემზადებიან აქ. ბათუმის მილიციები დაითხოვეს.

ლონდონი, 22 აპრილს. „Times“ მოუყვიდა პეტერბურლიდამ დეპეშა: მოლაპარაკება თოფ-იარაღის დაყრახე წარმატებით მიდის.

თ. ბორჩაკოვის ნოტაზე (პრომემორიაზე) ინგლისილამ ჯერ კიდევ არ მოსულა პასუხი.

ინგლისის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადასცა ძაროლევას 17,000 ინგლისელისაგან ხელმოწერილი ქალაქი (აღრესი), რომელშიაც გამოცხადებულია ის ჰაზრი, რომ კოროლევამ იხმაროს ყოველი ღონის-ძიებაო, რომ კონგრესსი შეიკრიბოს და მშვიდობიანობა არ დაირღვეს მეროპაშაო. სხვათა შორის ამ ქალაქდზე აქვს ხელი მოწერილი: მესტმინსტერის და ბელფორდის ჰერცოგებს, აგრეთვე ბევრ ჰერებს, ეპისკოპოსებს, სა-

ზოგადობათა პალატის წევრებს, მწერლებს, სამხედრო პირებს და სხვ.

პეტერბურლი, 24 აპრილს. ბუშინ ხელმწიფე იმპერატორმა ინახულა თ. ბორჩაკოვი, რომელიც ახლა უკეთ არის.

შაფუქველი ხმებიო, ვითომც რუსეთი თანხმდება ინგლისის ყველა მოთხოვნისებაზედაო.

ბერლინი, 23 აპრილს. „პეტერბურლის უწყებებს“ სწერენ: ჯარის დახედვის დროს იმპერატორმა მილჰელმმა უფხრა დენერლებს შემდეგი სიტყვები: „მე არ მივატოვებ ჩემ დისწულს; მე მოვეხმარები იმას, თუ საჭირო იქნება.“

სტამბოლი, 24 აპრილს. ღენ. ტოტლემენი ენერგიულად თხოულობს ოსმალის მმართველობისაგან შუმლირს, მარნიას და ბათუმის დათმობას. სტამბოლთან მყოფ რუსის არტილერისას ახალი ჯარები მოემატა.

ბერლინი, 23 აპრილს. ბერმანის იმპერატორმა მილჰელმმა უბოძა ხელმწიფე იმპერატორს ორდენი „pour le merite“ ჭრიდრის დიდის გამოხატულებით. მეკლენბურლის ჰერცოგმა მოიტანა ეს ორდენი პეტერბურლიში და ამასთან ერთად გადასცა ხელმწიფე იმპერატორს მილჰელმისაგან საკუთარის ხელით დაწერილი წიგნი, რომელშიაც, სხვათა შორის, სწერია: „ჩემი არმია სიამაყით დაუწყებს ცქერას ამ ორდენს თქვენი დიდებულების გულზედ.“

თ. ბორჩაკოვი უკეთ არის.

## ფელტონი

### თვალის ახილვა

მადლობა ღმერთს, აღარა მაქვს ჰაბუკობის აწ სათვალე! რაც მე იმან შემაცდინა, ის, მკითხველო, შენ დათვალე!

სადაც მივიხ-მოვიხედე, მომეჩვენა ია-ვარდი, და მოკრეფა რო მინდოდა, შავ ჭინჭარში გადავარი!

დავიშუშე, და მკურნალად გამოვძებნე მეგობარი; მაგრამ წყლულზედ გადამელო იმ წყეულმა მცხარე ძმარი.

ამ უაულო გამეტებამ წყლული უფრო გამიმწარა; ბაჭირების ტალ-კეფსზედა საყვალისკენ გამაჩქარა;

სატრფო დამხედა უსიამოდ, ბამილესა მე ნადველი; თვით ფერხულში ვაგრი, ბადახეია მან სხვას ხელი...

ბულში ცეცხლი მომეკიდა. ვაი ჩემს თავს, ამის მნახველს! ნათესავებს მივაშურე, მსტევი: „საშველად მომცემენ ხელს!“

მაგრამ სახლში რომ მივედი, პარი დამხედა დაკეტილი; მარახუნე... ხმა არ გამცეს; მოიგონეს, თურმე, ძილი!

ბულ-მოკლული გამოვბრუნდი, მსაჯულს ესთხოვე სამართალი; მაგრამ საწყლად რომ წავედქი, ამარიდა მანცა თვალი!

ზნეობითად დაჩაგრულსა მომაგონდა მე მოძღვარი; მიველ... ისიც მომეგება, ბადამსახა ლოცვით ჯვარი.

ჩემი ტანჯვა მოისმინა პუჩჩილდა მასაც გული. მკითხა: „შეილო, დაცემის დროს ხომ არ დავკარგვია თულო?“

მოვასხენე: „როგორ არ... დამეკარგა... თინც სათვალე... არ იამა. ზე წამოდვა და მიჩვენა კარი მალე...“

კაპიტანის ბირჟა, 25 აპრილს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი.)

	მან.	კაპ.
ლონდონი —	22—50	„ „
ამსტერდამი —	114	„ „
ჰამბურგი —	191—50	„ „
პარიზი —	233	„ „
შინაგანი სესხის ბილეთები	5%	
პირველი სესხის —	229 —	50
გორე სესხის —	226 —	„
ბანკის ბილეთები:		
პირველი გამოცემის —	97 —	„
მეორესი —	95 —	„
მესამესი —	94—80	
მეოთხესი —	95 —	„
ალმონაგოვითის —	93—75	
ოქრო, 1/2 იმპერიალი —	8—50	

საქართველო

ჩვენი სააღმ-მამულო ბანკებისთვის

მძივ დრო არის ახლანდელი დრო ბანკებისათვის. მართს მხრით, ომიანობის გამო, ყოველგვარი წარმოება, ოპერაციები ბანკებისა ერთობ შემცირებულია: ვაჭრობა და აღებ-მიცემა ისე ცხოვრებად ვერ წავა ომიანობის დროს, როგორც მშვიდობიანობაში, ფულები ბლომად გროვდება ამის გამო ბანკებში, წამლები არაეინ არის; მეორეს მხრით, ამავე ომის წყალობით, რუსეთის ფულს და აგრეთვე ამ ფულის სამაგიეროდ ბანკებისაგან გამოცემულ სხვა-და-სხვა „სარგებლიან ქალაქებს“ — კირაოს ფურცლებს, ობლიგაციებს, ბილეთებს და სხვ. ფასი დაუფარდა.

მხოლოდ ნამდვილ ფულს — ოქროსა და ვერცხლს — ემატება ახლა ფასი, სხვა ყველა ბილეთებს კი ფასი თან-და-თან აკლდებათ.

ამ გარემოებას გარდა არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ამ უკანასკნელ წელიწადებში ერთობ აბრკოლებს

რუსეთის ყველა ბანკების საქმეს და წარმოებას.

მა გარემოება გახლავთ ბანკების გა-ცარცვა და გაქურდვა თუ კასირებისა-გან, თუ ბუღალტერებისა და თუ თვი-თონ იმათ გამგეობისაგან.

ითქმის თვე არ გაივლის ისე, რომ რომელსამე ბანკს არ დაეპართოს ამის-თანა „უბედური შემთხვევა“: მართს ბან-კში კასირი ან ბუღალტერი დაავლებს ხელს რამდენსამე ათი ათასს, ხან ასი ათასს მანეთსა და მირბის საშლვარ გარ-ეთ; მეორეში ბანკის თავსმჯდომარე, დირექტორები და ზედამხედველები ერთ-მანეთს პირს აძლევენ, ყველანი სცარ-ცვენ ბანკს და ერთმანეთში იყოფენ, როგორც თავის საკუთრებას, და სხვ. სხვ.

არაფერი არ არის ისე შემაცდენელი, როგორც საზოგადო ფულების შექცა; მეორეს მხრით, არაფერი არ არის ისე ადგილი, როგორც აგრეთვე ამ საზოგა-დო ფულების ისე დახარჯვა, რომ იმის გზა და კვალი იშვითად გაიგოს კაცმა და კიდევ რომ გაიგოს, ვარა გამოიტან-ოს-რა...

ამ გარემოებაზე ჩვენ სრულიად იმი-ტომ არ დაგვიწყია ლაპარაკი, რომ ამ მხრით ითვილისისა და მუთაისის სააღ-გილ-მამულო ბანკების ბედი გვაშინებ-დეს; სულაც არაა ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არც ითვილისისა და არც მუთაისის სააღგილ-მამულო ბანკების გამგებელნი არ უღალატებენ ამ საზო-გადო საქმეს, უბრალო ავაზაკებით არ მოინდომებენ საზოგადო ფულით უსი-ნიდისოთ ისარგებლონ.

მაგრამ ყველანი კაცნი ვართ, ადამი-ანი; შეცოდება, მიდგომა, დაუღვერობა და სხვა ამგვარი ხასიათები და თვისე-ბანი ადამიანის წილად ურგუნებია გან-გებას, — და საზოგადოება — პატრონი ამ ბანკისა, ამის გამო ვალდებულია, რომ მუდამ ორივე თვალი გამოჰყეტილი ჰქონდეს, ვალდებულია, კარგად, ფხიზ-ლად მოექცეს თავის ფულს, იმ ფულს, რომელიც მარტო იმის ახლანდელი მოდგმის საკუთრებას როდი შეადგენს,

არამედ არის საკუთდება მომავალი იმის შთამომავლობისაც.

ამის გამო ახლა რადღესაც ვხედავთ, ითვი-ლისში, და მუთაისშიაც საზოგადო კრე-ბა არის დანიშნული სააღგილ-მამულო ბანკების დამარსებლებსა, ეს დამარ-სებლები და საზოგადო ყველანი, ვი-საც ჩვენი საზოგადო ინტერესისათვის გული შესტკივთ, ვალდებულნი არიან, რომ დაწერილებითი, მტკიცე ინგარიში მოსთხოვონ ხსენებულ ბანკების გამგე-ბელთ; პატრონს უფლება აქვს თავის დანდობილ დარწმუნებულ პირებს მოს-თხოვოს ანგარიში ყოველი კაპიციისა, რომელიც იმათ დაუხარჯავთ ან შეუქმნიათ საზოგადო ფულებიდან; კრება მოვალეა, იმას უფლება აქვს განხრიკოს და გა-მოიძიოს — კარგად თუ ავად დახარჯულა ის კაპიცი შეიძლებადა უკეთ მოხმა-რებულოყო, თუ არა; ერთის სიტყვით, კრებას უფლება აქვს დარწმუნდეს — რი-გიანად, პატიოსნად ასრულებენ იმისაგან დანდობილნი და ამორჩეულნი პირნი იმის ნდობას, თუ არა.

ნუ იქნება პარტიობა — ეს ჩვეულებ-რივი, ეს დამოუბველი მოვლენა ყველა ჩვენი კრებებისა, ყველა ჩვენი საზოგა-დო საქმისა. იყოს მხოლოდ სურვი-ლი — საზოგადო საქმის კარგად წაყვანი-სა, საზოგადო ინტერესების სამსახურისა... მხოლოდ მაშინ გვეშველება ჩვენ რამე, როდესაც ჩვენ კერძობას, პიროვ-ნებას თავს დავანებებთ და საზოგადო საქმეში მხოლოდ საზოგადო სარგებ-ლობით ვინებმძღვანელებთ...

ს. მ.

„დროების“ კორამსკონდენსია

ზამო იმერეთი, 17 აპრილს. მწების კვირაში ერთ გლესს სოფლის პერევისა-ში პატარა ბავშვი დაეკარგა.

როგორც ყოველთვის, ისე ეხლაც, მაშინვე ურიებზე შეიტანეს ეჭვი; იმათი აღდგომაც ხომ ამ ხანებში იყო და სწორეთ დარწმუნდნენ, რომ მათ წაიყ-ვანეს ბავშვი საწვალეზიად.

სჯობს მსაჯულის განაჩენსა, ღათო, შენი სამართალი: იყე შენი არ იბნევა, როგორც მისი გზა და კვალი!

მსუქნებს სტყავებს სიცოცხლითვე, ხელს არ ჰკიდებს მჭლეს და მძორსა და, მერწმუნე, ბევრათ მეტობს მისი ტორი შენსა ტორსა!

მოძღვრები და სულის კაცი ბავიციანი სოფლად ყველა... სიწმინდით და უმანკობით შენ სჯობიხარ იმათ, მელა:

შენ იპარავ: ქათმებს, ბატებს, ინებებსა და ინდაურებს... ისინი კი ყველაფერზედ თვალს ჰყეტენ და სკვეტენ ყურებს!

მბილ-ბასრო და ბრჭყალ-მანვილო ბარეულო კატუნია!... მინც რომ შენ არ გამჯობინებს საყვარელსა... ვერ უტენია!

შენ არავის მიიკარებ არც რისხვით და არცა თნევით, ის კი აცდენს მამა-კაცსა კრუტუნით და კულის ქნევით!

მხეცებო და პირუტყვებო! ბავიციანით ყველა კარგა... და ღმერთს ვმადლობ, რომ მიცდურნი მე სათვალე დამეკარგა!

აკაი

მაშინ მივხედი, რომ წაქცევამ საქმე მიყო მეგობრული!... სოფელს თავი დავანებე, ტყე-ტყე ვიწყე სიარული.

ჩემი ჩანგიც თან წავიღე, მით ვიქარვებ გულის ვნებას და მხეცებს რომ შევეყრები, შინდის გულით ვამკობ ქებას:

ღიღო მეგლო! შენ სჯობიხარ ნათესავს და მეგობარსა: შენ თუ გშიან, მოიტაცებ შთელ-ჯოგიდგან ერთსა ცხვარსა;

ისინი კი გამაძღვრებიც არ დაზოგვენ არცა ერთსა!... თვალთ-მაქცობით ატყუებენ დაბლა კაცს და მაღლა ღმერთსა!

# ოქის აზრები

## ოქისთვის მწაღება

ბელიგიურს გაზეთში „ბელგიას და მოუკიდებლობაში“ დაბეჭდილია შემდეგი სტამბოლიდამ მიღებული ამბავი:

„აქ გავრცელებულია ხმა, ვითომც ლაზებს განზრახვა აქვთ სთხოვონ მეროპის სახელმწიფოებს, რომ ასინა რუსეთს არ შეუერთონ. ამბობენ, ბათუმის გარემოში სოფლებში 15,000 მსაღმალეთის ქართველნი არიან მოგროვილნი იმ ჰაზრით, რომ რუსის ჯარს წინააღმდეგობა გაუწიონ, თუ იმან ბათუმის დაჭერა მოინდომა.“

ნემეცური გაზეთი „Presse“ იწერება, რომ ბერმანის ტახტის მემკვიდრე აპირებს ინგლისში წასვლას იმ განზრახვით, რომ ინგლისის მმართველობას ბალტიის ზღვაში თავის ფლოტის გაგზავნა დაამლევინოს.

ამავე საგნის შესახებ მეორე ნემეცური გაზეთი „Tagblatt“ ამბობს, რომ ბალტიის ზღვაში გამოგზავნა ინგლისის ფლოტისა, უეჭველია, დაარღვევს ბერმანის ზოგიერთ ინტერესებს და ამიტომ ტყუილი არ უნდა იყოს ის ხმა, რომელიც გავრცელებულია ამ ქვეყანაში, რომ ბერმანია ცდილობს, ინგლისმა არ შეასრულოს ეს თავის განზრახვა და თუ შეასრულა, მაშინ მართლაც შესაძლებელია, რომ ინგლისსა და ბერმანიას შუაშე უკმაყოფილება მოხდეს.

„პოლიტიკურს ძარბრესპონდენციაში“ დაბეჭდილია პეტერბურგიდამ მიღებული ტელეგრამა:

„მოლაპარაკება იმის თაობაზე, რომ რუსის ჯარი და ინგლისის ფლოტი ერთ დროს მოშორდეს სტამბოლს ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა. ამბობენ, რუსები თანხმა არიან, რომ აღრიანოპოლიდინ დასწიონ თავის ჯარები, თუ ინგლისიც იმშიდამ და რანდენელში წაიყვანს ფლოტსა.“

„ხალხთა შორის ტელეგრაფის სააგენტო“ შემდეგ ამბავს გვაცნობებს სტამბოლიდამ:

„ამბობენ, გადაწყვეტენ ინგლისელები თუ არა, რომ რუსეთს ომი გამოუცხადონ, იმწამსვე უეცრად დაიჭერენ სტამბოლს თავის ჯარებითა და იმავე დროს შავს ზღვაშიაც გაგზავნიან დიდძალ ფლოტს.“

„მცირე აზარში მოგროვილი ახალი სალდათები (რეკრუტები) მულამ ლამე მოჰყავთ სტამბოლში.“

მეროპის ბრძოლის ველზე რუსეთს ჰყავს ამჟამად შემდეგი ჯარები: რუმინიაში 50,000 კაცადინ, მალე ეს რიცხვი 150,000-მდე უნდა აიყვანონ; ტურკუთისა და რუსჩუკს შუა 60,000 კაცი; ბალკანის მთების სამხრეთით, ფილიპოპოლში, აღრიანოპოლში და სტამბოლის მახლობლად—150,000 კაცი.

სახერხელმა ურიებმა კარგათ იცოდნენ—თუ რა საქმე მოუვიდათ ამას წინათ სურამელ ურიებს და მაშინვე შეუდგნენ თავდარის. იმათ ვეცნათ, რომ დაეცემოდნენ თავზე ჩვენი გლეხები დიდპარასკევს და ამოიყრიდნენ მათ გულის ჯავრს ძრისტეს წვალებისათვის და ამ ბაშვის მოტაცებისათვისაც!...

ამისთვის სთხოვეს უფლის უფროსს დაეფარა იგინი ამისთანა მოსალოდნელი უბედურებისაგან. მართლაც, უფლის უფროსმა მალე გაგზავნა ყაზახი-რუსები და არაფერი უწესობა არ მომხდარა. სოტა ხნის შემდეგ ბავში იმავე სოფელშივე მინდორზე ნახეს მკვლარი. მქიმმა შეამოწმა, მაგრამ არავითარი ნიშანი წვალებისა მას არ უნახავს სხეულზე; ხელები აქვს დაფხაჭნილი, მაგრამ ეს წვალებისაგან არ არის. როგორც ამბობენ, ბავში სიცივისაგან არის მკვლარი, რადგან იმ დროს, როდესაც ის დაკარგულა და სახლში აღარ მისულა, ძრიელ სიცივე ყოფილა, და აქ ხომ თბილ ტანისამოსს არ ჩააცმევნ ბავს.

რომ ჯეროვანი ზომა არ მიეღოთ, ვინ იცის, მართლა ამ საცოდავებსაც ის დღე დაადგებოდათ, რაც სურამელ ურიებს დღე დაადგათ ჩვენი ქართველებისაგან.

ჩვენი მომრიგებელი მოსამართლე გადაიყვანეს სხვაგან. მხლა ჩვენი უფლი უსამართლოდ არის გაშვებული. ჯერჯერობით ისევე ძველი სულია არის, მაგრამ საქმეებს არ არჩევს, მხოლოდ ღებულობს საჩივრებს. და ზოგიერთი მომჩაგრები ამით დიდს უბედურებაში არიან ჩავარდნილნი. ჩვენმა გამომძიებელმა უ. მ. ძიქოძემაც თავი დაანება სამსახურს; აღდოკატობა არჩია ამ თანამდებობას...

ამნაირად აღარც სულია და აღარც გამომძიებელი ეხლა ჩვენთვის აღარ არის. რადემდის იქნება ეს უფლი ამისთანა მდგომარეობაში—არ იცის კაცმა. ძველ მიროვის სულიაზე ცოტა უკმაყოფილოდ იყო ხალხი. მხლა ხმები არის ერთ გიმნაზიელთაგანს ნიშნავენ სულიათო, რომელსაც აქ ზოგიერთები კარგათ იცნობენ; იმას ერთი ვინმე დიდკაცი სწყალობს. თუ მართალი გამოდგა ეს ხმა, მაშინ საზოგადოება აპირებს თხოვნას ისევე ძველი სულია დასტოვონ.

ხმები არის უფლის ნაჩაღნიკების გადაყვან-გადმოყვანისა, მათი განხლისებისათვის და „სამსახურის სარგებლობისათვის.“

ზოგიერთებმა უარი განაცხადეს სხვა უფლებებში გადასვლისა. . . . .

N N

თელავი, 19 აპრილს. ხშირათ ისმის კერძო პირებისაგან საჩივარი იმაზე, რომ ფოტის სტანციებზედ დიდს დაბრკოლებას აძლევენ მგზავრებს. ზოგან ამბობენ, რომ სტაროსტები დროზედ არ აძლევენ ცხენებს და აჩერებენ მგზავრს ხუთი-ექვსი საათის განმავლობაში, მა-

შინ როდესაც კანონით ვგონებ არა შემთხვევაში სამ საათზედ მეტს ვერ მისცემენ ხალხს დაბრკოლებას ისიც მაშინ, თუ ცხენები ახლად არიან დაბრუნებული მგზავრობიდან; ზოგნი სჩივიან, რომ სოფლამდის არ მიდის იამსჩივი იმ მიზეზით, რომ ვითომც მოსსეს გზიდგან აღკრძალული იყოს ცხენების გადაყვანა; მაგალითად ვსთქვათ: წავიდა ვინმე თელავიდან მახლობელს სოფელში ძისის-ხევი; ამ სოფლამდის ითვლება სულ შეიდი ვერსტი; მგზავრს გამოერთო პრაგონი თექვსმეტი ვერსტისა, ესე იგი სრული სტანციის, და იამსჩივი გააჩერა ტროიკა ზედ გზაზედ და აღარ წაიყვანა ნახევარ ვერსტზედ-სოფლამდის; ასე რომ თექვსმეტი ვერსტის მაგივრათ მგზავრი თხოულობს შეიდ ვერსტ ნახევარს და იქაც ამისთანა დაბრკოლება აქვს!...

ძიღვე მაგალითი: მიდის ვინმე ალაზანს ვალმა; აძლევენ კანონით დაწესებულს ორ ნაირს პრაგონს ოცი ვერსტისას; მიიყვანს იამსჩივი ამ უბედურს იქამდის, რომ სოფლამდის სადაც უნდა მივიდეს მგზავრი, დარჩენილა რადენიმე საჟენი, და იამსჩივი აყენებს პოვოზკასა. პოველი ვედრება და მუქარი მგზავრისა სოფლამდის მისვლაზედ რჩება უნაყოფო და უკანასკნელი იძულებულია გადმოვიდეს პოვოზკიდან და აიკიდოს თავის ბარგი ბარხანა და ისე შევიდეს სოფელში. ძიღვე კარგი თუ დიდი ბარგი არა აქვს! იმან რალა უნდა ქმნას, რომელსაც შეემთხვევა ამისთანა დაბრკოლება ბნელს ღამეში, არის მოხუცებულიებით ღონეს მოკლებული და არ შეუძლიან თითონ ბარგის წაღება? იმდროს ვერც იმის წაღებს მუშას მოულობს და ხან გზაც არ იცის სოფლისა, სადაც უნდა მივიდეს.

ამისთანა დაბრკოლებას მგზავრებისა მე ვერ მივაწერ თვით სტანციების მოიჯარადრეს, რადგანაც ეს იჯარადრები არ არიან უსწავლელები და გამოუცდელნი, და კარგათაც ესმით მიცემული მათდამი კანონები, მაგრამ არ შეიძლება იმათ გასამტყუნრად არა ესთქვა ისიც, რომ იმათ არა ჰყავთ რიგიანი სტაროსტები, რომელნიც მოვალენი არიან გასუპირებით იცოდნენ ყოველი წესები შესახებ მგზავრების წაყვან-მოყვანაზედ.

მხლანდელი ტაროსები და მოსავლის პირი გვაძლევს იმედს დიდ-ძალი პური-სას და ღვინისას! შერისა და პურის ჯეჯილები თავთავის ამოსაღებათ არიან მომხადებული; ვაზის კვირცები უნაკლოლოთ გამოდის; მინდორში კარგი ბალახებია და პირუტყვი საქონელი მძღორისათ სჭამს. თე-თავის დროს წვიმა არ გვაკლია.

პურის ფასმა ძალიან იკლო და საქებური ხორბალი ორ მანათს ზევით აღარა ფასობს (აქამდინ იყიდებოდა 3 მანეთიდან 3 მანეთს და 50 კაპეკამდის.) მრთის სიტყვით ჩვენი უფლის ხალხი ჯერ ძალიან მადლობელია თავის ბედისა; მაგრამ ბოლო რა იქნება, არ ვიცით!

პუკა

# განცხადებანი

## თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ 25 აპრილს, უპრავის თანადასწრებით, დანიშნულია, მხოლოდ ერთხელ, ვაჭრობა არენდით (იჯარით) მიცემისათვის იმ საქალაქო მიწისა, რომელიც შეიცავს 5,000 ოთხკუთხ საყენ მიწას და რომელიც მდებარებს ქუთაისში, ავჭალის გზაზე, რკინის გზის სტანციის პირდაპირ.

ეს აღგილი გამოცხადება ოჯახობისათვის.

მსურველმა თხოთმეტი წლის ვადით უნდა აიღოს ეს ალაგი იჯარითა.

(3-3)

დაიბეჭდა და ისყიდება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში — ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში:

## ბატონის უვილი

ირაკლის პირველი დრო ანუ თავდადება ქართველთა გამორცემული ზაქარია შიჭინაძისაგან. ფასი მშვიდ საური

### გამოვიდა და ისყიდება

„სოლი ვიტირო, თუ ფული?“

კომედია ალ. თუთაევისა  
 ისყიდება: ქალაქში — ყველა წიგნის მაღაზიებში და ალექს ჯიმშეროვთან, თელავს — იოსებ ძუშმანაშვილთან, ქარელს — დავით შეროხაშვილთან, ხაშურისა და ბეჟათუბნის უჭეტში, სურამს — ზაქარია არუწლოვთან, ქუთაისს — იაკობ მჰანგვლოვთან და სვ. სერვაძესთან ფოთში — მლისბარ ბაბალოვთან, ცხინვალს

— თ. ივ. თაქთაქოვთან, საქაშეთს — თ. ნიკ. დიასამიძესთან, მეჯვრისნევეს — მასწ. მოსე ნათაძესთან, ზორში — სტ. ზომოვეთან და თვითონ ავტორთან.

### ქუთაისში

ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში ისყიდება:

- 1) დედა მანა, ი. ბოგებაშვილისა, ფასი 45
  - 2) ანუკა ბატონიშვილი, ისტორიული მოთხრობა ბრ. რჩელოვისა ფასი 20 კ.
  - 3) სოლი ვიტირო, თუ ფული? კომედია ალ. თუთაევისა, ფასი 30 კაპ.
  - 4) ვეფხვის ტყარსანი, შოთა რუსთველისა, ფასი 50 კაპ.
  - 5) ვეფხუ ლირი, დრამმა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.
- და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

თფილისის ქალაქის საავთმყოფო ამით აცხადებს, რომ ვისაც მსურს თავის შეიღებს ყვავილი აუტრას, შეუძლიან მიმართოს საავთმყოფოში ორშაბათობითა და პარასკეობით, დილის ათი საათიდან შუადღემდინ. აქ უტრიან ყვავილს ექიმის ხელმძღვანელობით.

ღარიბებს მუქთად აუტრიან ყვავილს და ვისაც შეუძლიან, ექვის შაური უნდა შეიტანონ.

(5-5)

## ახალი წიგნი

„სოლი თუ გინდათ, მს არის!“

ერთ-მომქედებანი ვოდევილი მასილი აბაშიძისა

ისყიდება: თფილისში — პართანოვის წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში — ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

# ტყავის ქარხანა თფილისში

დამოქმნის ქუჩაზე, ბერძნის საყდრის პირდაპირ, სახლის № 22.

პატივი აქვს აცნობოს იმ პირთ, რომელნიც ტყავით ვაჭრობენ ანუ თავიანთთვის სასყიდლოდ ეჭარებათ, რომ ამ ქარხანაში კეთდება და მუდამ მოიპოვება დამგადამული უომეღგვარი ტყავი წალბისთვის, შნაგირისა, კარკმლის და ფაბრიკებისა, ჩაქმებისა ლანჩა და სხვ.

წარდათ (პარტიობით) ყიდვა ყველა ამ საქონლისა შეიძლება ქარხანის კანტონრაში, სადაც მსურველს შეუძლიან აგრეთვე რა გვარი ტყავიც უნდა შეუყვეთოს და გაუყეთებენ. წვირილ-წვირილად ამ ქარხანის საქონელი ისყიდება მაღაზიაში, სიონის პირდაპირ.

(25-14)

## პირველი სანიტარული აბრიალის უზრუნისაგან

პირველი სანიტარული აბრიალის უფროსი ამით უცხადებს თავის უბნის (ქალაქის I განყოფილების 1-სა და მუხანატის მცხოვრებლებს, რომ რაც შეიძლება საჩქაროდ აუტრან ყვავილი თავის შეიღებს, რადგან ამ ქამად ყვავილი გავრცელებულია ქალაქში.

ყვავილის ატრა შეიძლება ჰეგვაჟადის ქუჩაზე, საპიორის ქუჩის პირდაპირ, საცა სამშაბათობით, პარასკეობით და კვირაობით დილის 10 საათიდან ყვავილის ასაცრელად არიან მუდამ ექიმები; ამას გარდა სანიტარულ კომიტეტს ჰყავს ყვავილის ამცრელი, რომელიც ვალდებულია პირველ-მოთხოვნაზედვე მივიდეს ოჯახებში და აუტრას ყმაწვილებს ყვავილი.

რპ. გზა.	დილა.	საღამ.	II კ.	III კ.	ბელგრაფი	მ. კაპ	მაზანდა	მან. კაპ	თფილისის სამკურნალო
თფილისი	9 21	5 18			მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 12 აპრილს		მრეგნის მაედანზე, წინამძღვაროვის
მცხეთა	10 11	6 27	68	38	ქუთაისს, ფოთს	1	შქვ. თ. ბანჯისა, ფოთ	2	სახლებში.
ბორი	11 58	9 43	2 40	1 33	ბორს, ღუშეთს, სიღნაღს	50	შქვილი წითელი	1 60	ავთმყოფებს მიღებენ ყოველ დღე,
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდებსა, მოსკოვს	2	ქერი ფული	1 40	კვირას გარდა, დილის 8-10 მდინ.
სურამი	1 44		4 42	2 46	პეტერბურგს, შარშავას	2	ბაზა მრეგნისა, ფოთი	7 20	მ რ შ ა ბ ა თ ს: მინკეიჩი — ხორუ-
ქვირილა	5 49		5 81	3 23	მსმალეთში, შვეიცარიაში	3	— ამერიკისა, ფოთი	8 50	რგი, ლისიცივი — შინაგ. ავათყუ.
რსთნი	6 47		6 75	3 75	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	გაპენტილი ბაზა ფოთი	10	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი და
სამტრედია	7 41		7 73	4 29	ინგლისში	3 75	მატული თუშური ფოთ	6 50	მარქაროვი — შინაგ. ავათმყოფობის,
ახ.-სენაკი	—		8 57	4 76	ფოთი		— მარაქამისა ფოთ	3 50	მამამშვი — თვალის.
ფოთი	9 40		9 75	5 42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე		აბრეშუბი ნუბური სტ	2	მ თ შ ა ბ ა თ ს: ლისიცივი — ში-
ფოთი	9 13				კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.		ქონი, ფოთი	6	ნაგანი ავათმყოფ, მიუჩარინცი — გე-
ახ.-სენაკი	—		1 18	66	მ.ზურ. — პარასკ. და ორშ. მახეთს —		ქონის სანთელი ფოთი	8	ნერიულის.
სამტრედია	11 16		2 61	14	სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდან:		სტეპარინის სანთელი, ფ	13 20	ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი — შინა-
რიონი	12 13		3 41	69	თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ		ხორცი ძროხისა, ლიტ.	99	განი ავათმყოფობისათვის.
ქვირილა	1 18	ღამე	3 98	2 21	დღე კვირას გარდა. მ.ზურგეთს —		— ცხვრისა, ლიტრა	90	პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ლისიცივი და ასა-
სურამი	5 12	1 10	5 33	2 96	ორშ. და პარასკ.		სპირტი, ვედრო	5 20	ტუროვი — შინაგ. ავათმყოფ. და მინ-
ხაშური	5 39	1 37	5 84	3 24	წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ.	შაქარი, ბროც. ფოთი	8 80	კეიჩი — ხორბურგ.
ბორი	7 5	4 87	3 64	9	და სამზღვარ გარეთ:		— ფხვნილი ფოთი	6 20	შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი და მარქა-
მცხეთა	8 50	6 59	9 85	4	ლო წიგნის	4	შავა გრვალის, გირვ.	70	როვი — შინაგანი ავათმყოფობის, მიუ-
თფილისი	9 31	7 56	9 75	5 42	დაბეჭდილის (სამი მისხალი)	8	შეთი ქუნჯულისა ფოთ	12	მიუჩარინცი — ყურის და ხორბურგიულ
							მამაქო, სამუშალო ფოთი	8 50	ავათმყოფ. და მამამშვი — თვალის.